Georgische Zeitung „SAKARTHWELO"

საქართველო

№ 1 (129) გამოც. მე-4 წელი — ქართველ მოხალისეთა ყოველკვირეული გაზეთი — ბერლინი, 1 იანვარი, 1945 წ.

ჩვენი საყვარელი სამშობლოს — საქართველოს განთავისუფლებისათვის იარაღითა და კალმით მებრძოლ ქართველ მამულიშვილთა გაზეთი „საქართველოს" რედაქცია გილოცავთ ახალ წელს და გისურვებთ 1946 წელი დამოუკიდებელ საქართველოში გედღესასწაულოთ!

თუ წარსულში, მშვიდობიანი ეპოქის წლებში, ურთიერთისადმი გამოთქმული საახალწლო სურვილები განისაზღვრებოდა მხოლოდ ცალკეული პირების ინტერესებით, დღეს, მსოფლიო ომის წლებში, როდესაც განსაკუთრებით ცხადად არის გამოსახული ცხოვრების მამოძრავებელი ძალების მტკიცე კავშირი ხალხთა და სახელმწიფოთა ბედიღბალთან, საახალწლო მილოცვა, ბუნებრივია, ღებულობს საერთო პოლიტიკურ ხასიათს. ჩვენი დღევანდელი საახალწლო მილოცვა უშუალოდ დაკავშირებულია ჩვენი საყვარელი სამშობლოს ბოლშევიკებისაგან განთავისუფლებასთან. კომუნიზმი, რომელმაც დაამონავა ჩვენი ხალხი, უნდა განადგურდეს და ერთხელდასამუდამოდ მოისპოს! ამ მიზნისათვის თვით უდიდესი მსხვერპლიც კი დასანანებელი არ არის, რადგან ამით მარადიულ თავისუფლებას ვანიჭებთ ჩვენს მრავალტანჯულ ერს!

მეექვსე წელია გრძელდება მეორე მსოფლიო ომი. ბოლშევიზმი განადგურებით ემუქრება კაცობრიობის კულტურისა და ცივილიზაციის მიღწევებს. ყველანი გულისფანცქალით შეჰყურებენ მომავალს. რა მოხდება? ნუთუ გაიმარჯვებს აშკარა და უხეში ძალმომრეობა, დაიმარხება სიმართლე?

განვლილი 1944 წელი მრავალი მოულოდნელობით ხასიათდებოდა. ომის პირველ წლებთან შედარებით, როდესაც გერმანული არმიის წინსვლა ძლევამოსილი მარშით გრძელდებოდა, 1944 წლის თერთმეტნახევარი თვე, პირიქით უკანდახევით თუ თავდაცვითი ბრძოლებით დამთავრდა. პატარა და დაჩაგრული ერების იმედები, ბოლშევიკური ძალმომრეობისაგან ერთხელდასამუდამოდ განთავისუფლების შესახებ, კვლავ მოექცა სასწორზე და ულმობელი მტერი სულთამხუთავსავით დააწვა მათ. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ მსოფლიო მნიშვნელობის მოვლენები, რომლებსაც ეხლა ადგილი აქვს და რასაც ასე მძიმედ განიცდის კაცობრიობა, წარმოშობილია უმნიშვნელო ისტორიული აუცილებლობით და ისინი მსოფლიოს რაღაც უბრალო გარეშე პირობებმა მოახვია თავს. დღევანდელი ომი, რომელიც დაუნდობელი სიკვდილის ცელით ანადგურებს მილიონობით ადამიანების სიცოცხლეს, არის სხვა არაფერი, თუ არა ლოგიკური შედეგი ეგრეთწოდებული ოქტომბრის რევოლუციისა.

და აი, ბრძოლა გრძელდება. ახალ, 1945 წელს გერმანია და მასთან ერთად მებრძოლი, პატარა თუ დიდი ერების წარმომადგენელთა არმიები, იწყებენ მტკიცე და მკაცრი შეტევებით როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ფრონტზე. მთელი მსოფლიო სულთქვაშეკრული თვალს ადევნებს ბრძოლის განვითარებას, რადგან ყველამ კარგად იცის, რომ ბოლშევიკებისა და მათი დამქაშების ბედი მხოლოდ ფრონტზე შეიძლება გადაწყდეს.

სტალინი ჩვეულებრივად შეეცადა გაეწია მსოფლიო მასშტაბის სპეკულაცია და გამოაცხადა, რომ ბოლშევიკების ლაშქრობა არის პატარა ერების განმათავისუფლებელი ომით. მაგრამ მისი უბედურება იმაშია, რომ ეს ეგრეთწოდებული მცირე ერების განმათავისუფლებელი ომის ნამდვილი სახე უკვე გამოაშკარავდა და პატარა ერები, რომელთა „განთავისუფლებას" ჩემულობს ეს არამკითხე მოამბე, შეუპოვარ წინააღმდეგობას უწევენ წითელი არმიის ნაწილებს.

ბულგარეთისა და სერბიის მთებში, რუმინეთის ტყეებში და უნგრეთის დაბლობებზე, ბოლშევიკების საექსპანსიო ნაწილების წინააღმდეგ უკვე სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას აწარმოებენ ბულგარელი, სერბი, რუმინელი და უნგრელი პატრიოტები, ისინი იბრძვიან, რადგან უკვე შეიგნეს, რომ სტალინის ლაშქრობა დამპყრობითი და დამმონებელი ომია. ისინი უკვე დარწმუნდნენ იმაში, რომ სტალინი და ბოლშევიზმი კი არ ათავისუფლებს პატარა ერებს, არამედ დაუკითხავად ერეკება მათ უზარმაზარ საკონცენტრაციო ბანაკში, რომელსაც საბჭოთა კავშირი ეწოდება.

და აი, ახალი წლის მიჯნაზე ცხადი შეიქნა, რომ ჩვენ მარტონი არა ვართ, რომ ეხლა ბევრისათვის ცხადია კომუნიზმის მსოფლიო საფრთხე და მასთან საბრძოლველად იშვება ძლიერი ძალები. ამიტომ ახლადგაბრწყინებული იმედებით ვხვდებით ჩვენ ახალ წელს. ჩვენში არ შენელებულა განუსაზღვრელი სიძულვილის გრძნობები ჩვენი ლამაზი სამშობლოს დამპყრობელთა მიმართ. ბრძოლის პერიოდში ჩვენ უფრო მეტად შევითვისეთ — გვძულდეს ყოველივე, რასაც ბოლშევიკური ეწოდება. გამარჯვება შეუძლია მხოლოდ მას, ვინც მტკიცედ დარწმუნებულია თავის ძლიერებაში, ვისაც აქვს რწმენა, იმედი და სიყვარული. დღეს, ახალი წლის მიჯნაზე, ჩვენ ვოცნებობთ ახალ ბედნიერებაზე ჩვენი ძვირფასი სამშობლოსათვის. ეს არ არის პოეტური ოცნება რაღაც მიუწვდომელზე და უტოპიურზე, არამედ რეალური, განხორციელებელი საქმეა. ახალ წელს ჩვენ ვოცნებობთ სამშობლოში გამარჯვებით დაბრუნებაზე. ჩვენ კარგად ვიცით, რომ რწმენა უსაქმოდ მკვდარია და ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებული. ამიტომ ჩვენ აღვიარებთ, რომ სამშობლო ჩვენს მიერ უნდა იქნას აღდგენილი, ამას გვაკისრებს ისტორიული მისია! ჩვენ უნდა გამოვჭედოთ ჩვენი ბედიღბალი! მხოლოდ იმ მებრძოლთ, რომელთაც გააჩნიათ ნებისყოფა, შრომისადმი სიყვარული და თავდადების უნარი, შეუძლიათ უწოდონ თავს სამშობლოს პატრიოტები.

ქართველი ადამიანი მუდამ ასეთი მებრძოლების რიცხვს ეკუთვნოდა. ამიტომ ჩვენ, ქართველი მოხალისეები, მონაწილეობას ვღებულობთ ამ ბრძოლებში ისე, როგორც ეს შეშვენის ჩვენს მამაპაპის სახელოვან წარსულს, დიდებულ ტრადიციას. ჩვენ ნათლად დავამტკიცეთ კომუნიზმთან უკანასკნელი სისხლის წვეთამდე ბრძოლის აუცილებლობა და სურვილი, ამ საქმის წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლის საკურთხეველზე ჩვენ მივიტანეთ ჩვენთვის ყველაზე უფრო ძვირფასი — ჩვენი საკუთარი სიცოცხლე.

ჩვენ ვხვდებით ახალ, 1945 წელს სამშობლოდან დაშორებულნი, მაგრამ განუშორებელი ფიქრებით მასზე, სადაც დღეს მრავალტანჯული ჩვენი ხალხი თვალცრემლიანი, ათიათასობით დაღუპულთა და გადმოხვეწილთა უმწეო ბედზე, ყოველგვარი სიხარულის გარეშე ხვდება ახალ წელს.

ჩვენი ხალხისათვის გასული წელი იყო ახალი წამებისა და ტანჯვის წელი, წელი უდიდესი მსხვერპლისა, რომელიც მან სტალინის დიქტატორული ბრძანებით უცხო ინტერესებისათვის გაიღო. მაგრამ ამავე დროს განვლილი წელი იყო საქართველოს განთავისუფლებისათვის ბრძოლის გაძლიერებისა და განსაზღვრულ ფორმებში ჩამოყალიბების წელი. ქართველ მოხალისეთა ნაწილებმა განვლილ 1944 წელს განსაკუთრებული სიცხადით დაამტკიცეს, რომ ისინი არ დაჰყრიან იარაღს, სანამ საქართველო არ განთავისუფლდება და არ მოიპოვებს სანატრელ დამოუკიდებლობას. სამშობლოდან გადმოხვეწილმა თვითეულმა ქართველმა, სადაც არ უნდა იყოს იგი, ფრონტზე იარაღით ხელში, დაზგასთან ქარხანაში, თუ სასოფლო-სამეურნეო მანქანასთან მეურნეობაში, კარგად უნდა იცოდეს, რომ ის თავისი შრომით მხოლოდდამხოლოდ საქართველოს და, აქედან გამომდინარე, თავის პირად საქმეს ემსახურება. მხოლოდ ასეთი შეგნებული მიდგომით შევძლებთ გავაძლიეროთ ჩვენი რიგები ბოლშევიზმის წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლისათვის.

ჩვენ ვხვდებით 1945 წელს მტკიცე რწმენით — ვიბრძოლებთ მანამ, სანამ არ გავათავისუფლებთ ჩვენს საყვარელ სამშობლოს, ჩვენს ღვთაებრივ საქართველოს! ჩვენ ვგრძნობთ, ჩვენ ვიცით, რომ მომავალი წელი იქნება გრანდიოზული ბრძოლების წელი, რომელიც მოითხოვს ფიზიკური და მორალური ძალების უდიდეს დაჭიმვას და რომ ჩვენთვის არ არსებობს ორი გზა. ჩვენ ვერ დავბრუნდებით სამშობლოში, თუ იქ კიდევ იბატონებენ სტალინი და მისი დამქაშები. სამშობლოში დაბრუნება ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ როგორც გამარჯვებულებს! უზარმაზარი ციხე-სახელმწიფო, რომელიც სტალინმა ასეთი გულმოდგინებით ააშენა, უნდა დაინგრეს და განთავისუფლებული ჩვენი ხალხი მსოფლიოს სხვადასხვა კულტურულ ერებთან ერთად ჰარმონიულ ფერხულში ჩაება. დღეს ყველა ჩვენგანმა კარგად უნდა იცოდეს, რომ ჩვენთვის მხოლოდ ერთი გზა არსებობს. ეს გზა წმინდათაწმინდა იდეების მგზნებარე ცეცხლით არის განათებული და სამშობლოს პატრიოტებს მოუწოდებს უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისაკენ. ეს არის გზა ჩვენი გერმანიასთან კავშირისა, რომელიც მსოფლიოში ერთადერთი ძალაა სისხლიანი ბოლშევიზმის დასამარცხებლად. გერმანიის ძლევამოსილ არმიასთან ერთად ბრძოლებში ჩვენ მოვუპოვებთ ჩვენს ხალხს მარადიულ თავისუფლებას!

ვხვდებით რა ახალ წელს, თვითეული ჩვენგანი მზად უნდა იყოს ახალი და მძიმე ბრძოლებისათვის, ახალი შებმისათვის მზაკვარ და საზიზღარ მტერთან. მხნედ და გაბედულად შევხვდეთ ახალ წელს და ახალ ბრძოლებს ჩვენი ერის ბედნიერებისათვის. გადამწყვეტ ბრძოლაში არ უნდა შედრკეს არცერთი ჩვენგანი და მსგავსად ჩვენი გმირი წინაპრებისა, მეხსავით დაეცეს თავს ულმობელ მტერს! ახალი და უკეთესი ცხოვრებისაკენ, მსოფლიო მშვიდობიანობისაკენ და კაცობრიობის ბედნიერებისაკენ მოვუწოდებთ ჩვენ დღეს ყველას! ახალმა წელმა უნდა მოგვიტანოს ბედნიერება, გამარჯვება და საყვარელი სამშობლოს — საქართველოს თავისუფლება.

შიმშილი უკრაინასა და ლენინგრადში

ანკარიდან მიღებული ცნობების თანახმად, ხარკოვში მოხდა შეტაკება შინსახკომის ჯარებსა და ერთ-ერთი სარკინიგზო ქარხნის მუშებს შორის. შეტაკების შედეგად დაჭრილია მრავალი მუშა.

ეს ცნობები ადასტურებენ რუსი სამხედრო ტყვეებისა და გამოსულთა ჩვენებებს უკრაინის საწარმოებში მუშებსა და შინსახკომელებს შორის შეჯახებათა რიცხვის ზრდის შესახებ. ამის მიზეზს წარმოადგენს შინსახკომელთა გამომწვევი დამოკიდებულება მშიერი მოსახლეობის მიმართ. მუშათა მასების აღშფოთება, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდნენ ულუფის ერთი მესამედით, სულ უფრო დაუფარავად იზრდება. მუშათა საშიში განწყობილების გამო, ხარკოვის სამხედრო ოლქის სარდალმა მილიციასა და შინსახკომელებს ნება დართო ესროლონ კრებს პირებს. ვინაიდან იარაღის ხმარება შეუძლიათ სახელმწიფო დამცველი ორგანოების წარმომადგენლებს მათი პირადი შეხედულებით, მკვლელობათა რიცხვი ყოველდღიურად იზრდება.

ტყვე წითელარმიელთა შემდეგი ჩვენებების მიხედვით, ლენინგრადის ადმინისტრაცია მოსახლეობას ამზადებს მოსალოდნელი შიმშილობისათვის. უკვე რამოდენიმე თვის წინათ სურსათის ულუფა განახევრებულ იქნა. ასეთ შემცირებას მოჰყვა ახსნა-განმარტება: სურსათ-სანოვაგის არსებული მარაგი ახალი მოსავლის აღებამდე უნდა გვეყოს. ამ ღონისძიებათა შედეგად, ქალაქის მოსახლეობა ცდილობს გაიქცეს ქალაქგარეთ იმ იმედით, რომ სოფლებში მაინც იშოვის საკვებს. საადმინისტრაციო ხელისუფლებამ გამოსცა კანონი, რომლის ძალით, ქალაქიდან თვითნებურად გაქცეული ყველა მოქალაქე იძულებითი წესით დაბრუნებული იქნება თავის სამუშაო ადგილზე.

ბალტიელ ლტოლვილებს არ სურთ ბოლშევიკებთან დაბრუნება

შვეციიდან იუწყებიან, რომ შვეციის საგარეო საქმეთა მინისტრმა თანხმობა განუცხადა საბჭოთა წარმომადგენელს, აწარმოოს მოლაპარაკება ბალტიელ ლტოლვილებთან სამშობლოში დაბრუნების შესახებ, გაზეთების ცნობით, ბალტიელმა ლტოლვილებმა თითქმის ყველა ბანაკში უარი უთხრეს საბჭოთა წარმომადგენელს ბოლშევიკურ სამშობლოში დაბრუნებაზე.

„შაბკოთა" საახალწლო სიზმარი.

„გერმანია კვლავ ძლიერია და საშიში"

გენერალი ეიზენჰაუერის განკარგულებით აკრძალულია ყოველგვარი ცნობების გადაცემა ფრონტის იმ ნაწილიდან, სადაც გერმანელთა შეტევა მიმდინარეობს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, მოწინააღმდეგის პრესაში მაინც შესაძლებელია ამოვიკითხოთ ზოგიერთი ცნობა შეტევის შედეგების შესახებ.

„როიტერის" კორესპონდენტმა ჟულიამ სტრინმა განაცხადა, რომ გერმანელთა წინსვლა გრძელდება.

სამხედრო კომენტატორი ლარი ლესიერი სწერს, რომ გერმანელთა მძლავრმა კონტრიერიშმა „ინგლის-ამერიკელების გადაჯგუფება გამოიწვია", იგი ურჩევს ინგლისელებს, გერმანელთა შეტევიდან გამოიტანონ სათანადო დასკვნა — „გერმანია კვლავ ძლიერია და საშიში".

„დეილი-მეილი" და „დეილი-ექსპრესი" აფრთხილებენ ინგლისელ ხალხს სერიოზულად მოეკიდონ გერმანელთა შეტევის დაწყების ფაქტს. გაზეთები მიუთითებენ, რომ საჭიროა ბოლო მოეღოს იმ აზრს, თითქოს „გერმანია უკვე განადგურებულია".

შვეიცარიული გაზეთი „ტატის" ლონდონელი კორესპონდენტი სწერს, რომ „გერმანელთა შეტევამ ლონდონში მთელი სენსაცია გამოიწვია".

განმათავისუფლებელი ომის ფრონტებზე

კვირეული მიმოხილვა

დასავლეთის ფრონტის შუა უბანზე დაწყებული გერმანელთა დიდი შეტევა, რომელიც გენერალ-ფელდმარშალი ფონ რუნდშტედტის სარდლობით მიმდინარეობს, ვითარდება სავსებით გეგმიანად და დიდი წარმატებებით, მიუხედავად მტრის ძლიერი წინააღმდეგობისა და გენერალი ეიზენჰაუერის ცდისა — გამოიყენოს დამხმარე ძალები და გარემოცვაში მოაქციოს გერმანული ნაწილები გვერდიდან შემოვლით. შეტევის პირველსავე დღეებში გერმანულმა ნაწილებმა გადალახეს პირველი ამერიკული არმიის გამაგრებული ხაზი, გაანადგურეს არმიის მირითადი ძალები და ბელგიაში მიაღწიეს ურტის. ამასთანავე, გერმანელებმა ხელთ იგდეს მრავალი დასახლებული პუნქტი, რომელთა დაკავებაც ამერიკელებს თავისდროზე მეტად ძვირად დაუჯდათ. გერმანელთა წარმატებებმა ლუქსემბურგსა და სამხრეთ ბელგიაში თავისი გავლენა მოახდინა აახენის ფრონტზე და აგრეთვე საარის უბანზე, სადაც მტერმა შეარყია თავისი დაწოლა. გენერალი პატონი იძულებული გახდა დაეცალა ხიდმისასვლელი სიმაგრე საარ-ლაუტენბურგთან, რომელიც მან დაიპყრო ძლიერი მსხვერპლის გაღებით. გერმანელებმა დაიბრუნეს აგრეთვე ენსდორფის ხიდმისასვლელი სიმაგრე. შეტევის პირველსავე დღეებში გერმანელებმა ტყვედ წამოიყვანეს 20.000 ამერიკელი, მოკლულთა და დაჭრილთა რაოდენობამ კი ლამის გადააჭარბა ამ რიცხვს. 16 დეკემბრიდან განადგურებული და ნაწილობრივ ნადავლის სახით ხელში ჩაგდებულია ამერიკელთა 700 ტანკი და სხვა ჯავშნიანი მანქანა. გარდა ამისა, ჩამოგდებულია მტრის რამდენიმე ასეული თვითმფრინავი.

„V1" და „V2" შურისძიების ცეცხლი გრძელდება ლონდონზე, ანტვერპენსა და ნაწილობრივ ლუტიხზე. ამ ცეცხლით დაზიანებულ იქნა აგრეთვე მტრის ჯარების შევსება სამხრეთი ინგლისის სხვადასხვა რაიონებსა და კონტინენტზე.

გერმანიის სამხედრო-საზღვაო ფლოტმა კუნძულ ვალხერენთან ჩასძირა მტრის ერთი ნაღმმზიდი, ხოლო შემდეგ — 6 დიდი სატრანსპორტო გემი 80.000 ტონა საერთო წყალწყვით.

იტალიის ფრონტის შუა უბანზე, ბრძოლები კვლავ ფაენცასა და ბაგნაკავალოსთან გრძელდება. ფაენცის მიმართულებით, 10-კილომეტრიან ფრონტზე, მიუხედავად ურაგანული საარტილერიო ცეცხლისა (გასროლილია დაახლოებით 100.000-მდე სხვადასხვა ზომის ყუმბარა), მტერმა შესძლო მხოლოდ უმნიშვნელო მანძილზე წამოწეულიყო წინ.

აღმოსავლეთის ფრონტზე ცხარე ბრძოლები გრძელდება ბუდაპეშტთან და ვაიტცენ-მატრის ხაზზე. სასტიკი ბრძოლები გაჩაღდა აგრეთვე დუნაისა და პლატენის ტბას შორის.

კურლანდიაში მიმდინარეობს ადგილობრივი ხასიათის შეტაკებები.

უკანასკნელ დღეებში ინგლის-ამერიკელთა ტერორისტული თავდასხმები გრძელდებოდა უმთავრესად ტრიერზე, ბონსა და სამხრეთ-დასავლეთი გერმანიის სხვა ქალაქებზე.

დეგრელი და ფონ დე ვილე რიბენტროპთან

იმპერიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ფონ რიბენტროპმა მიიღო ვალონიის განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელი, SS-ს დივიზიის „ვალონიას" შტურმბანფიურერი ლეონ დეგრელი და ფლამანდიის განმათავისუფლებელი კომიტეტის ხელმძღვანელი დოქტორი იეფ ფონ დე ვილე.

ფონ რიბენტროპმა მათთან გულთბილი საუბარი ჩაატარა.

შიში მოსკოვისადმი

გაზეთი „აფტონტიდნინგენი" იუწყება, რომ არც ჩერჩილსა და არც იდენს ჯერჯერობით არ დაუმყარებიათ პირადი ურთიერთობა პოლონეთის ახალ ემიგრანტულ მთავრობასთან, რომელსაც არციშევსკი მეთაურობს, მიკოლაიჩიკი კი იმყოფება მეგობრულ ურთიერთობაში ჩერჩილთან. აგრძელებენ რა თავის ყოველგვარ ინტერესმოკლებულ პოლიტიკას პოლონეთის ახალი მთავრობის მიმართ, ლონდონი შიშით გაურბის ყოველ ნაბიჯს, რომელსაც შეეძლო მოსკოვის უკმაყოფილება გამოეწვია.

გერმანელთა მიზანი თანამედროვე ომში

დოქტორი გებელსის გამოსვლა

იმპერიის მინისტრმა დოქტორმა გებელსმა დასავლეთ ოლქებში მოგზაურობის დროს ინახულა რიგი ქალაქებისა, რომელნიც განსაკუთრებით მძიმედ დაზიანდნენ მტრის საჰაერო ტერორისტული თავდასხმებისაგან. როგორც „საჰაერო ომში დაზარალებულთა დამხმარე მინისტრთა კომიტეტის" თავმჯდომარე, იგი დაწვრილებით ინტერესდებოდა იმ ზომებით, რომელიც მიღებულია დაზარალებულთა დახმარების აღმოჩენისა და აგრეთვე დაზიანებული ქარხნების აღდგენისათვის, აწარმოებდა მოლაპარაკებას საოლქო ხელმძღვანელებთან და სახელმწიფო დაცვის კომისრებთან საჰაერო თავდაცვის საკითხებზე. დოქტორი გებელსი ესაუბრებოდა დანგრეული ქალაქების მცხოვრებლებს, ხვდებოდა მათ თავშესაფრებსა და ბუნკერებში, სწვდებოდა მათს გულისწადილს. ყოველივე ამის შედეგად, მინისტრი დარწმუნდა, რომ დასავლეთი ოლქების მოსახლეობამ, მიუხედავად დიდი განსაცდელისა, გადასწყვიტა განუხრელად შეასრულოს თავისი ვალი, რომელიც მას დააკისრა ტოტალური ომის პირობებმა და ფრონტებზე არსებულმა მდგომარეობამ.

ერთ-ერთ დიდ ქალაქში დოქტორმა გებელსმა წარმოსთქვა ვრცელი სიტყვა. ტერორისტული თავდასხმებით ნახევრად-დანგრეულ შენობაში, კვამლსა და მტვერში შეგროვდა ათასობით ქალი და კაცი. მოვიდნენ მუშები, რათა პირადად დოქტორ გებელსისაგან მოესმინათ ანგარიში სამხედრო და პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ისინი მოვიდნენ, რათა გებელსის სიტყვების საფუძველზე გამოეტანათ დასკვნა თანამედროვე მსოფლიო ომის აზრისა და მნიშვნელობის შესახებ, ცოდნა ეხლანდელი ომის შინაარსისა კი მისცემს მათ ახალ ძალებს ომის გასაგრძელებლად.

თავის სიტყვაში დოქტორმა გებელსმა აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ზაფხული და შემოდგომა გერმანელი ერისათვის წარმოადგენდა ყველაზე მძიმე გამოცდის პერიოდს ამ ომში. ხალხისა და მასალის დიდი უპირატესობით მტერი ცდილობდა დაემსხვრია გერმანელთა თავდაცვა ყველა ფრონტზე. ამავე დროს მან გააძლიერა ტერორისტული თავდასხმები ჩვენს სამშობლოზე. მაგრამ მტერმა ვერავითარ წარმატებას ვერ მიაღწია, მისი დაწოლა გატეხილ იქნა გერმანიის საზღვრებთან, სადაც გმირულად მებრძოლმა ჩვენმა დივიზიებმა მიაყენეს მას საგრძნობი მარცხი. მოწინააღმდეგე ქვეყნების საზოგადოებრიობა მწვავედ განიცდის ამ მარცხს.

თანამედროვე ომის მთავარ პრობლემად მინისტრი სთვლის საჰაერო ომს. მეტად მძიმე და მტკივნეულია ის ხვედრი, რომელიც მტრის ტერორისტული თავდასხმების შედეგად წილად ხვდა გერმანელ ერს და პირველ რიგში დასავლეთი ოლქების მოსახლეობას. მაგრამ ჩვენი მოვალეობის შესრულების დროს თუ მტკიცე და ურყევნი დავრჩებით, ამით დავამტკიცებთ, რომ გერმანელ ერს უფრო ადვილად შეუძლია აიტანოს ყოველგვარი განსაცდელი, ვიდრე ინგლისელებს. მინისტრმა გამოსთქვა ღრმა რწმენა, რომ საჰაერო ომის პრობლემა ისეთივე გადალახული იქნება, როგორც სხვა პრობლემები.

შემდეგ დოქტორი გებელსი შეეხო პოლიტიკურ მდგომარეობას და განაცხადა, რომ ბოლშევიკების პოლიტბიურო, ინგლისელი ლორდები და უოლსტრიტის ამერიკელი ბობოლა, დამოუკიდებლად მიისწრაფიან თავისი პირადი ინტერესებისათვის. რაც უფრო უახლოვდება თანამედროვე ომი გადამწყვეტ ფაზას, მით უფრო ცხადი ხდება, რომ ჩვენი მტრები მხოლოდ ერთ საკითხში არიან შეთანხმებული, ეს არის სიძულვილი გერმანიისადმი, რაიმე დადებითი მიზანი კი მათ არა აქვთ.

გერმანელების მიზანი კი ამ ომში ერთობ მარტივი და ნათელია. ჩვენმა ერმა მშვენივრად იცის, რომ საკითხი ეხება მის სიცოცხლე-სიკვდილის საქმეს. „ჩვენი თაობა, — განაცხადა დოქტორმა გებელსმა, — მოწმეა ახალი მსოფლიოს შობისა, რომელიც ყოველთვის დაკავშირებულია ცრემლებთან, ტანჯვასა და საშინელებასთან".

ისტორიამ დაგვიმტკიცა, რომ ის ხალხი, — განაგრძო მინისტრმა, — რომელიც გაურბის ამ განცდებს, ყოველთვის ადგილს უთმობს უფრო მტკიცე და უნარიან ერებს. ამიტომ ჩვენი ეხლანდელი პაროლია — გვქონდეს მხოლოდ საკუთარი თავისა და არავითარ შემთხვევაში მტრისაგან შეწყალების იმედი.

განიხილა რა ევროპაში არსებული ქაოსი, მინისტრმა განაგრძო, რომ ზაფხულში განცდილი მძიმე დარტყმების შემდეგ ძალების აღდგენას გერმანიისათვის მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს. მტერი თავზარდაცემულია ამ ფაქტით. მოწინააღმდეგეთა ბანაკში ლაპარაკობენ „გერმანულ სასწაულზე". მაგრამ ჩვენ ვიცით, რომ ჩვენი მატერიალური და მორალური ძალები სასწაული კი არ არის, არამედ წარმოადგენენ ჩვენი სიმტკიცისა და მომავალი ისტორიული გამარჯვების განხორციელების ღრმა რწმენის შედეგს.

დოქტორმა გებელსმა თავისი სიტყვა დაამთავრა ფიურერისადმი პატივისცემისა და ერთგულების აღნიშვნით. მან სთქვა, რომ ეხლანდელ ომში, რომელსაც გერმანელი ერი აწარმოებს თავისი არსებობისათვის მძიმე გამოცდის დღეებში, ფიურერი წარმოადგენს ურყევი რწმენისა, დაუღალავი მუშაობისა და ფოლადისებური სიმტკიცის მაგალითს.

სამხედრო პოლიტიკური მიმოხილვა

დ. ხალირაშვილი

1944 წელი უკვე წარსულს ჩაბარდა. გადაიშალა ისტორიის კიდევ ერთი ახალი ფურცელი — 1945 წელი. რა დაიწერება ამ ფურცელზე—არავინ იცის, მაგრამ მომავლის განჭვრეტა მაინც შეიძლება გასული წლის მოვლენებისა და ამბების შეფასებით. ჩვენ აქ შევეცდებით მოკლედ მიმოხილვა გავაკეთოთ იმ დრამისა, რომელიც კაცობრიობას უკვე მეექვსე წელია შეუბრალად აწვალებს და [illegible]

[illegible]

დასასრული იხ. მე-6 გვერდზე

მიკვლევა

[illegible]

გრიგოლ დიასამიძე.

გერმანელი გრენადერები შეტევის დროს.

ფრონტის მოწინავე ხაზისაკენ...

ქართველი მებრძოლი ახალგაზრდობისადმი

იმ საბედისწერო წუთებში, როდესაც სწყდება ევროპისა და ჩვენი სამშობლოს ბედიგბალი, ქართული საკავშირო შტაბი მხურვალე პატრიოტულ სალამს უძღვნის საქართველოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლ, თავდადებულ ქართველ მოხალისე ახალგაზრდობას!

განვლილი, 1944 წელი ჩვენი მებრძოლი თაობის გმირობისა და სიმამაცის მაგალითებით აღიბეჭდა. პასუხისმგებლობის უდიდესი გრძნობით, ჩვენი ახალგაზრდობა თავიდანვე განსაკუთრებული ენთუზიაზმით ჩაება ბრძოლის ქარცეცხლში. ახალი ევროპისათვის ბრძოლაში ჩვენი მოხალისე ახალგაზრდობა, მეგობარი გერმანელი ჯარისკაცის მხარდამხარ, საკუთარი გვერდით იცავდა კაცობრიობის კულტურასა და ცივილიზაციას. თქვენი ბრძოლა, თქვენი სისხლი უქმად არ ჩაივლის. საყვარელი სამშობლოს ბედი სწყდება სწორედ აქ, ევროპის თვალუწვდენელ სივრცეზე, საქართველოს თავისუფლება ევროპის ბედიგბალზე არის დამოკიდებული! ახალი ევროპა, რომელიც იბადება ზღვა სისხლის გაღებით, ღირსეულ ადგილს მიუჩენს მათ, ვინც აქტიურად მონაწილეობდა მისი განთავისუფლებისათვის ბრძოლაში.

ახალი წლის დადგომა ძლევამოსილმა გერმანულმა არმიამ დიდი შეტევის დაწყებით აღნიშნა. დაჰკრა საათმა, როდესაც ჩვენი მებრძოლი ძალები კვლავ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში გადაეშვებიან საკუთარი სამშობლოს გამოსახსნელად ბოლშევიკური კლანჭებისაგან.

მომავალი ჩვენ გვეკუთვნის! გერმანიის შემტევი ძალა კვლავ აქტიურად იჩენს თავს და ამ ძალის შეჩერება უკვე აღარავის შეუძლია! ახალმა, 1945 წელმა უნდა მოგვიტანოს ძირითადი შემობრუნება ყველა ფრონტზე.

თქვენი ბრძოლა თავისი განვითარების უმაღლეს ფაზაში შევიდა. ქართული ნაწილები საბოლოოდ ჩამოყალიბდნენ, როგორც მტკიცე, შეკრული და ერთსულოვნად ჩამოქნილი ერთეულები. თქვენ ეხლა ყველგან საკუთარი ქართველი ოფიცრები და უნტეროფიცრები გყავთ, საკუთარი მზრუნველი სამხედრო ცენტრი და თქვენი ეროვნული დროშა, რომელსაც მუდმივად მარჯვენა მკლავზე ატარებთ, აგვირგვინებს თქვენს ნაციონალურ სახეს. თქვენ წარმოადგენთ სახელოვან ქართველ მოხალისეებს, რომლებიც უშუალოდ გერმანული არმიის რიგებში იბრძვიან საკუთარი ოჯახების, ჩაგრული ქვეყნის აღსადგენად, ახლობელთა გამოსახსნელად ბოლშევიკური ტყვეობისაგან. თქვენ წარმოადგენთ თქვენი ხალხის ნამდვილ რევოლუციონერებს, რომლებიც აღსდგით ქართველი ერის უფლებათა მოსაპოვებლად!

ქართული საკავშირო შტაბი რომელიც წარმოადგენს ყველა ქართველი მებრძოლი ძალის გამაერთიანებელ და ხელმძღვანელ ცენტრს, ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით გისურვებთ სრულ წარმატებას თქვენს მიერ წარმოებულ ბრძოლაში და მთელი ქართველი ხალხის სანუკვარი სურვილის — სამშობლოს განთავისუფლების — რაც შეიძლება მალე განხორციელებას.

ქართული საკავშირო შტაბი.

○

„საქართველოს" რედაქციას

მიიღეთ ჩემი ბარათი „მადლი ქართული მიწისა", როგორც მცირე საახალწლო საჩუქარი. ნუ მოგაკლოთ [illegible] ის მადლი. [illegible] ნათელი გულით თქვენს მკითხველებს.

გრიგოლ რობაქიძე.

რედაქციის შენიშვნა: ტექნიკური მიზეზების გამო, რედაქცია იძულებულია ბ-ნი გრიგოლ რობაქიძის წერილი: „მადლი ქართული მიწისა" მოათავსოს მომავალ ნომერში.

ქართული თეატრის დღე

მოხ. ი. ისაირელი

ქართული თეატრის ისტორია შორეული წარსულიდან იწყება, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენამდე თითქმის არ მოუღწევია ამის დამადასტურებელ ძეგლებს. შეუძლებელია ქართველ ერს, რომელიც დაკავშირებული იყო ეკონომიურად, პოლიტიკურად და კულტურულად ძველ ბიზანტიასთან და რომთან, არ ჰქონოდა საკუთარი ნაციონალური თეატრალური ხელოვნება.

ქართული თეატრალური ხელოვნების პირვანდელი სახე უნდა ვეძიოთ ქართველი ხალხის სადღესასწაულო ჩვეულებებში, რომლებიც იმართებოდნენ ხოლმე ბუნების მოვლენათა ცვალებადობის გამო. ძველისძველად საქართველოში ცნობილი იყო ე. წ. „ლაზარობა", რომელიც ტარდებოდა ზაფხულში გვალვისა თუ დიდი წვიმების დროს; მასში მოცემულია თეატრალური ხელოვნების ჩანასახი; ასეთივეა „ყეენობა" და განსაკუთრებით კი „ბერიკობა".

ერთერთი ქართველი პროფესორის სიტყვით, ერეკლე მეორის მეფობის დროს თბილისსა და თელავში იმართებოდა წარმოდგენები მეფისა თუ წარჩინებულთა სასახლეებში; იდგმებოდა ორიგინალური და ნათარგმნი პიესები.

ქართული პროფესიული თეატრი დაარსდა 1851 წლის 2 იანვარს, გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით. ამავე დღეს დაიდგა მისი პიესა „გაყრა". სწორედ აქედან იწყება ქართული თეატრის ისტორიაც.

ხელოვნების არცერთ დარგს არ მიუძღვის ისეთი დიდი დამსახურება ქართველი ერის ნაციონალური გათვითცნობიერების საქმეში, როგორც ქართულ თეატრს. იგი წარმოადგენდა ქართველი ერის ეროვნულ ტრიბუნას, საიდანაც გაისმოდა ჭეშმარიტი ქართული სიტყვა.

მეტად აუტანელ პირობებში უხდებოდა ქართულ თეატრს მუშაობა თვითმპყრობელობის დროს. აბუჩადაგდებული ქართული ენა, განდევნილი სახელმწიფო დაწესებულებებიდან, ერთადერთ თავშესაფარს პპოვებდა მხოლოდ ქართულ თეატრში.

1879 წელს თბილისში დაარსდა მუდმივი დასი, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ ილია ჭავჭავაძე, დიმიტრი ყიფიანი, აკაკი წერეთელი, მაგრამ იგი მალე დაიშალა, რის შემდეგ თეატრს ხელმძღვანელობდნენ ვასო აბაშიძე და კოტე მესხი. თეატრმა თავის გარშემო შემოიკრიბა დრამატურგებიც. პირველი ქართველი დრამატურგები იყვნენ გიორგი ერისთავი და ზურაბ ანტონოვი. ამ ორმა ადამიანმა ჩაუყარა საფუძველი ჩვენს დრამატულ მწერლობას; მათ მალე მიემატათ აქსენტი ცაგარელი და გაბრიელ სუნდუკიანცი; სხვათაშორის, ეს უკანასკნელი პიესებს სწერდა ჯერ ქართულად და შემდეგ სთარგმნიდა სომხურ ენაზე.

ქართული თეატრისათვის პიესებს სწერდნენ აგრეთვე ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ნიკო შიუკაშვილი, იოსებ გედევანიშვილი, ტრიფონ რამიშვილი, სანდრო შანშიაშვილი, ვალერიან გუნია და სხვ. გარდა ორიგინალური რეპერტუარისა, ქართული თეატრი უმთავრესად იკვებებოდა გადმოკეთებული და თარგმნილი პიესებით; მათგან პირველი ადგილი უჭირავს სარდუს პიესა „სამშობლოს", რომელიც გადმოკეთებული იყო გიორგი ერისთავის მიერ. ეს პიესა რამოდენიმე ათეულ წელიწადს იდგმებოდა ქართულ სცენაზე. ამავე გზას ადგა ცნობილი მსახიობი და საზოგადო მოღვაწე ვალერიან გუნიაც; მან მოხდენილად გადმოაკეთა და შექმნა სავსებით ახალი პიესა „და-ძმა". ალექსანდრე სუმბათაშვილმა შესძინა ქართულ თეატრს შესანიშნავი პიესა „ღალატი", რომელსაც დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ სცენაზე.

ქართული თეატრის მშვენება და მისი მამოძრავებელი ღერძი იყვნენ საფაროვ-აბაშიძისა, გაბუნია-ცაგარლისა, ელ. ჩერქეზიშვილი, ვასო აბაშიძე, კოტე მესხი, ლადო ალექსი-მესხიშვილი, კოტე ყიფიანი, ვალერიან გუნია, ნუცა ჩხეიძე, ალექსანდრე იმედაშვილი, ნიკო გოცირიძე და სხვ.

1920 წელს ქართული თეატრი შემოქმედებით კრიზისს განიცდიდა. მას რაღაც აკლდა. ეს იყო რეჟისორი. მართალია, რეჟისორებად ითვლებოდნენ ჩვენში კოტე ანდრონიკაშვილი, ალექსანდრე წუწუნავა, მიხეილ ქორელი, აკაკი ფალავა, მაგრამ სამწუხაროდ მათ კვალი ვერ დაამჩნიეს ქართულ თეატრს.

საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის პირველ წელს, როგორც თბილისში, ისე პერიფერიებში, თეატრებმა შესწყვიტეს მუშაობა. ქართველი ინტელიგენციის საუკეთესო ნაწილმა ზურგი შეაქცია ახალ ხელისუფლებას. ნაწილი ინტელიგენციისა კი საბჭოთა ხელისუფლებასთან თანამშრომლობის გზას დაადგა. სოკოსავით მომრავლდნენ „გრუზკავროსტას" და „პროლეტკულტის" მიერ დაარსებული მცირე ფორმის თეატრები, რომელთა რეპერტუარი სააგიტაციო მასალისაგან შესდგებოდა და მოკლებული იყო ყოველგვარ მხატვრულ ღირებულებას.

რამოდენიმე თვის შემდეგ თბილისში დაიწყო ანუ განაახლა მუშაობა ქართული დრამის თეატრმა, იდგმებოდა სანდრო შანშიაშვილის „ბერდო ზმანია" და „უგვირგვინო მეფენი". ხალხი თეატრში არ დადიოდა. ამის მიზეზი მარტო რეპერტუარის უვარგისობა როდი იყო, როგორც ამას ხსნიდა საოკუპაციო ხელისუფლების პრესა, არამედ ქართველი მოსახლეობის დამოკიდებულება საოკუპაციო ხელისუფლებისადმი.

ერთადერთი ქართული თეატრის არსებობას თბილისში საფრთხე მოელოდა. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატის მიერ სპეციალურად მოწვეულ თათბირზე ხელისუფლება მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭიროა დროებით დაიხუროს ქართული თეატრი, რადგან მსახიობთა კადრი სათანადოდ არ არის მომზადებული და თეატრს არ გააჩნია მაყურებელიო. ეს იყო ლახვარი, მიმართული ქართული ნაციონალური თეატრისადმი, რომელიც ყოველთვის წარმოადგენდა ჩაუქრობელ ლამპარს ქართველი ერის ეროვნული შეგნების ამაღლებისათვის. ერთადერთი კაცი, რომელმაც გაბედულად გაილაშქრა მთავრობის ამ წინადადების წინააღმდეგ, იყო დიდი ხელოვანი, ევროპულ კულტურაზე აღზრდილი, სახელგანთქმული რეჟისორი, ნამდვილი ქართველი მამულიშვილი კოტე მარჯანიშვილი. მან თათბირზე განაცხადა: არის მსახიობი, არის აუდიტორიაც, საჭიროა მხოლოდ გულთბილი ზრუნვა თეატრის მიმართ და ადამიანი, რომელიც სათავეში ჩაუდგება ქართული თეატრის განახლების საქმეს. იგი დაჰპირდა კომისარიატს, რომ თვითონ აიღებდა ერთერთ დადგმას რუსთაველის სახელობის თეატრში.

ვასო აბაშიძე.

კოტე მარჯანიშვილი მაშინ ახალი ჩამოსული იყო რუსეთიდან და თბილისის მცირე თეატრის სცენაზე რუსი მსახიობების მონაწილეობით სდგამდა „სალომეას", რომელსაც უთვალავი ხალხი ესწრებოდა. ამ ნიჭიერმა ადამიანმა ქართულ სცენაზე დასადგმელად აიღო ზურაბ ანტონოვის პიესა „მზის დაბნელება საქართველოში", რომლის წარმოდგენას უთვალავი ხალხი დაესწრო; ეს იყო ქართული თეატრის ტრიუმფი. მადლიერმა საზოგადოებამ ოვაციით დააჯილდოვა ჯადოქარი ხელოვანი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა ქართული თეატრის განახლებას და გადაარჩინა ქართული კულტურის კერა.

1922 წლიდან კოტე მარჯანიშვილმა მუშაობა დაიწყო რუსთაველის სახელობის თეატრში; მან თანაშემწედ გაიხადა ნიჭიერი რეჟისორი ალექსანდრე ახმეტელი, მის გარშემო შემოკრბნენ ახალგაზრდა ძალები, შეიქმნა მტკიცედ შეკრული, შედუღებული კორპორაცია. მას კორპორანტებმა ერთხმად უწოდეს დურუჯი, მდინარე დურუჯის სახელი, რომლის ნაპირებზე გაატარა თავისი ცელქი ბავშობა კოტე მარჯანიშვილმა.

კოტე მარჯანიშვილის მიერ მტკიცედ შეკრულ „დურუჯელთა" კორპორაციას მხარში ამოუდგა ჩვენი პოეზიის ერთერთი შესანიშნავი წარმომადგენელი გრიგოლ რობაქიძე.

1923 წლის თეატრალური სეზონისათვის „დურუჯელებმა" მზადება დაიწყეს შექსპირის „ჰამლეტით". ქართული თეატრალური საზოგადოებისათვის მოულოდნელი სენსაცია იყო, როცა გაიგეს, რომ დანიის პრინცის, ჰამლეტის როლის შემსრულებელი იყო საზოგადოებისათვის უცნობი ახალგაზრდა მსახიობი უშანგი ჩხეიძე. ინტელიგენციის ნაწილი უკმაყოფილებით შეხვდა ამას.

იანვრის დღეებია... რუსთაველის თეატრი ხალხითაა გაჭედილი; დღეს „დურუჯელების" დებიუტია. უცნობმა ახალგაზრდა მსახიობმა უშანგი ჩხეიძემ თავისი ტემპერამენტით მოაჯადოვა საზოგადოება. მესამე მოქმედების შემდეგ საზოგადოება ფეხზე ადგომით ოვაციას უმართავს კორპორანტებსა და მის სულისჩამდგმელს, ქართული თეატრის უდიდეს რეფორმატორს კოტე მარჯანიშვილს.

ეს იყო ქართული თეატრალური კულტურის ბრწყინვალე გამარჯვება. ეხლა „ურწმუნო თომებიც" კი დარწმუნდნენ, თუ რა სიდიდულობა იყო მარჯანიშვილის შემოქმედებაში. ორი სეზონის განმავლობაში თეატრმა განახორციელა შემდეგი საუკეთესო დადგმები: „ცხვრის წყარო", „ჰამლეტი", „გმირი", „კაცი-მასა", „მალმტრუში", „ლამარა", „სინათლე" და სხვ.

ქართული თეატრის ეს გამარჯვება არ იყო ხელსაყრელი საოკუპაციო ხელისუფლებისათვის. ანტიქართული საქმის მეთაურნი ცდილობდნენ, როგორმე დაეშალათ მჭიდროდშეკავშირებული კორპორაცია. სხვათაშორის, ამ ღონისძიებათა ხელისშემწყობი იყო საქართველოს კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი მიხეილ კახიანი. თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელს კოტე მარჯანიშვილს „ბურჟუაზიული" გადახრა დასწამეს. თეატრის შიგნით შექმნეს არაჯანსაღი განწყობილება ხელმძღვანელის წინააღმდეგ; სამწუხაროდ, მარჯანიშვილის მოწინააღმდეგეთა სათავეში მოექცა მის მიერ აღზრდილი, მისი საუკეთესო მოწაფე ალექსანდრე ახმეტელი. ამგვარად, 1926 წელს ეს დიდი ხელოვანი თეატრიდან წავიდა.

კოტე მარჯანიშვილის თეატრიდან წასვლის შემდეგ დაიშალა კორპორაცია „დურუჯი" და რუსთაველის თეატრს სათავეში ჩაუდგა რეჟისორი ალ. ახმეტელი, რომელიც პირნათლად ასრულებდა მმართველი პარტიის ცეკას „შეკვეთებს", თეატრი შედგა „გამემარცხენების" გზაზე. სცენიდან განდევნეს კლასიკოსები და რეპერტუარი შეავსეს ისეთი „მარგალიტებით", როგორიცაა: „საჭე მარცხნივ", „რღვევა", „ქართა ქალაქი", „ლიანდაგი გუგუნებს", „ამერიკელი ძია", „გასაბჭოებული ამერიკელი ძია" და სხვ. როგორც ვხედავთ, გარდა „ამერიკელი ძიისა", ყველა დასახელებული პიესები რუსულ პროლეტარულ დრამატურგიას ეკუთვნიან. ეს იყო უკვე რუსული თეატრი ქართულ ენაზე; დაიწყო კრიზისი რუსთაველის თეატრში. მაშინ მიმართეს პიესების გადმოკეთებას, ხელი მიჰყვეს აგრეთვე პიესის ინსცენირებას, რომელმაც საფრთხეში ჩააყენა არამცთუ მარტო ქართული თეატრი, არამედ ქართული დრამატურგიაც.

1926 წლიდან 1928 წლამდე კოტე მარჯანიშვილი კინოდადგმებზე მუშაობდა. 1928 წელს იგი გადავიდა ქუთაისის თეატრში. მასთან ერთად ქუთაისში გადავიდნენ სამუშაოდ მის მიერ აღზრდილი მსახიობები უშანგი ჩხეიძე, ვერიკო ანჯაფარიძე, ნათუნა ჭიჭინაძე, თამარ ჭავჭავაძე, შალვა ღამბაშიძე, მ. სარაული; თეატრში მოვიდნენ ძველი სკოლის მსახიობებიც — ალექსანდრე იმედაშვილი, ნუცა ჩხეიძე, ანდრო მერუსიძე.

1929 წელს, პირველად ქართული ხელოვნების ისტორიაში, ქუთაისის სახელმწიფო თეატრმა ანუ სახელმწიფო დრამის მეორე თეატრმა ჩაატარა სასახელო გასტროლები უკრაინაში, მოსკოვსა და თბილისში. ამ თეატრის გასტროლები იყო ქართული თეატრალური კულტურის ტრიუმფი. ეხლა უკვე მოწინავე ინტელიგენციამ და ზოგიერთმა პარტიულმა გავლენიანმა პირმაც პრესის საშუალებით აღიმაღლა ხმა კ. მარჯანიშვილის თეატრის სამუშაოდ დატოვების შესახებ თბილისში. როგორც იქნა, ეს საკითხი დადებითად გადაწყდა და მარჯანიშვილს გადასცეს ზუბალაშვილების ყოფილი სახალხო სახლი, სადაც მუშაობდა ყბადაღებული „პროლეტკულტის" ნაშიერი, ე. წ. წითელი თეატრი.

მარჯანიშვილის თეატრის თბილისში დატოვებისთანავე რუსთაველის თეატრიდან მასთან სამუშაოდ გადავიდნენ ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები ვასო გოძიაშვილი, პიერ კობახიძე და სახალხო არტისტი ნიკო გოცირიძე.

1928 წელი საბჭოთა კავშირში არის საკავშირო კ. პ. (ბ) გენერალური ხაზის გამარჯვებისათვის ავადმყოფური ბრძოლის წელი. მრავალგვარი ოპოზიციის განადგურების შემდეგ, პარტიაში „გაიმარჯვა" ე. წ. „შინაპარტიული დემოკრატია", რამაც ხელი შეუწყო სტალინის ერთმართველობისა და დიქტატურის გამაგრებას. ამ დღიდან დაიწყო თეატრის ტრიბუნად გამოყენება პარტიული პოლიტიკისათვის.

განიდევნა კლასიკური დრამატურგია. თეატრში გაბატონდნენ კირშონი, აფინოგენოვი, ოლეშა და ლავრენიევი, ნიკიტენკო და კორნეიჩუკი, სამსონიძე და მაშაშვილი...

საბჭოთა თეატრები კრიზისის დასაძლევად იძულებული იყვნენ ისევ კლასიკოსებისათვის მიემართათ. განახლდნენ შექსპირისა და შილერის დრამები, მაგრამ დიდი „ქირურგიული ოპერაციების" შემდეგ. რუსთაველის თეატრმა განახორციელა გრანდიოზული დადგმა — შილერის „ყაჩაღები", მაგრამ პიესას სახელი შეუცვალეს, უკეთ რომ ვთქვათ, რუსთაველის თეატრმა „გაასაბჭოვა" შილერი, პიესის მთავარი გმირი კარლი „კომუნისტური" იდეოლოგიისათვის იბრძვის სცენაზე, რაც აზრად არ მოსვლია შილერს. ძმებს შორის ატეხილი უთანხმოება „კლასობრივი ბრძოლის პრინციპზე აიგო თეატრმა. ასევე დამართეს შექსპირის „ოტელოს", თეატრმა „მარქსისტულად" გაიგო სუმბათაშვილის ცნობილი პიესა „ღალატი", ეს პიესა თითქმის „გაინტერნაციონალეს", სიტყვა „საქართველო" ყველგან ამოიღეს და მის ნაცვლად „სამშობლო" შეიტანეს...

კოტე მარჯანიშვილის გარდაცვალებისა და ალექსანდრე ახმეტელის დაღუპვის შემდეგ, თეატრის ხელმძღვანელობა მათმა მოწაფეებმა იკისრეს, თეატრებში გაჩნდნენ მრავალი „ორდენოსნები" და „სტალინური პრემიის" ლაურეატები, მაგრამ ამ მდგომარეობამაც ვერ უშველა თეატრის კრიზისს...

o

2 იანვარს ქართული თეატრის ტრადიციული დღეა. ქართველი ერი, რომელიც იბრძვის ნაციონალური თავისუფლებისათვის, აღადგენს და შექმნის ნამდვილ ეროვნულ თეატრს, რომლის მეთაურები იყვნენ გიორგი ერისთავი — ფუძემდებელი ქართული თეატრისა, ლადო მესხიშვილი და ქართული თეატრალური კულტურის უდიდესი რეფორმატორი კოტე მარჯანიშვილი.

ვაჟკაცები საქართველოდან

ქვემოსილეზიის ერთერთ სავარჯიშო მინდორზე დაბანაკებულია ქართული ლეგიონი. მას ხელმძღვანელობენ ქართველი ოფიცრები და უნტეროფიცრები, რომელთაც რჩევას აძლევს და ეხმარება მცირერიცხოვანი გერმანული პერსონალი.

ლეგიონში გაერთიანებული მებრძოლები დაბრუნებული არიან ლაზარეთებიდან და ფრონტის სხვადასხვა ნაწილის საველე ათასეულებიდან. ხელახალი სამხედრო გაწვრთნის შემდეგ, ისინი ამ სათადარიგო დანაყოფებს მალე დასტოვებენ და წავლენ ფრონტის მიმართულებით.

ოთხი მხედრის პორტრეტი, რომელსაც ქვემოთ ვაძლევთ, წარმოდგენას შეგვიქმნის ამ მებრძოლებზე.

ლეგიონის მეთაური

ლეგიონის მეთაური, კაპიტანი სიმონ ქ. მუდამ მხედარი იყო და სურს ყოველთვის მხოლოდ მხედრად დარჩეს. ამას საუკეთესოდ ამტკიცებს მისი მკვეთრად მოხაზული, ვიწრო სახე, რომელსაც შავი პატარა წვერი განსაკუთრებულ ელფერს აძლევს, გერმანული ორდენები მის მკერდზე კი საბოლოოდ ადასტურებენ ზემოაღნიშნულ დებულებას.

უკვე დიდხანია არ უნახავს მას სამშობლოს მთები. 1921 წელს სიმონ ქ. როგორც თბილისის სამხედრო სკოლის მედროშე იუნკერი, იბრძოდა ბოლშევიკების წინააღმდეგ, რომელთაც დიდად გადაჭარბებული ძალებით ჩაახრჩვეს ქართველთა ბრძოლა თავისუფლებისათვის. საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა უცხოეთში წამოსულიყო, მას თან წამოჰყვნენ მედროშე იუნკრებიც.

როგორც სხვა იუნკრებმა, ისევე ლეგიონელმა კაპიტანმა, რომელიც ქართულ ეროვნულ დროშას მუდმივად მკლავზე ატარებს, მცირე ხანი დაჰყო თურქეთში. შემდეგ ისინი შეეხიზნნენ პოლონეთის სახელმწიფოს, სადაც მათ სამხედრო სკოლა დაამთავრეს და შემდეგ სამსახურში იყვნენ მიღებული ხელშეკრულების მიხედვით, რადგან საკუთარი ეროვნული მეომრობის დაკარგვა არ სურდათ.

ხელშეკრულებით დაკისრებული მოვალეობა მან პირნათლად შეასრულა: ეს იყო ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ. პოლონეთის აღმოსავლეთის ფრონტზე იგი ებრძოდა წითელ არმიას, რომელიც ეს უკანასკნელი 1939 წელს პოლონეთში შეიჭრა. შემდეგ, როცა გერმანიის არმია დაიძრა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, პოლონური ჯარის ყოფილი როტმისტრი, გამოცხადდა მოხალისედ გერმანულ ჯარში. იგი ჩაირიცხა უბრალო ჯარისკაცად ისევე, როგორც მისი ძმა, რომელიც გერმანულ ტყვეთა ბანაკიდან ქართულ ლეგიონში შევიდა. ამ დღიდან სიმონ ქ. მუდმივად ქართულ ლეგიონთან და საველე ათასეულებთან იმყოფება. თავისი ძმისაგან მან შეიტყო სამშობლოს ამბები, გაიგო მოხუცი მამის მრავალჯერ დაპატიმრების შესახებ. მაგრამ ძმების ერთად ყოფნის ბედნიერება დიდხანს არ გაგრძელებულა. ძმა გმირული სიკვდილით დაეცა დასავლეთის ფრონტზე. მან იგი საკუთარი ხელით დაასაფლავა.

ასმეთაური

ლეიტენანტი ნიკოლოზ ტ. ჩვენ ვნახეთ ასეულის მეცადინეობის დროს. ის ლაპარაკობდა „ტანკის მუშტის" შესახებ. მაღალი, მოქნილი ტანის მქონე მეთაური სდგას თავისი ჯარისკაცების წინაშე და უხსნის მათ ღირსებაზე ერთეული მებრძოლის ამ იარაღს.

O

ლეიტ. ვერნერ ვიტკოვი

ჩვენი სამხედრო კორესპონდენტი

O

ნიკოლოზ ტ. ახალი დროის შვილია, რევოლუციის შემდეგ დაბადებული. მას სურდა თბილისში ეკონომიური მეცნიერება შეესწავლა, მაგრამ ვერ მოასწრო უკანასკნელი გამოცდის ჩაბარება, ისე გაიწვიეს ჯარში. ლვოვში დაამთავრა უმცროს მეთაურთა სკოლა და ოცმეთაურის მოადგილე გახდა. ომის დაწყებიდან არ გასულა 14 დღე, რომ იგი გერმანულ ტყვეობაში აღმოჩნდა.

ნიკოლოზ ტ. ერთი პირველთაგანი იყო, რომელიც ტყვეთა ბანაკიდან ნებაყოფლობით შევიდა ქართული ლეგიონის რიგებში. შემდეგ იგი სამხრეთ საფრანგეთში მეთაურობდა ქართული ლეგიონის ასეულს ტერორისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. მალე სამხედრო სკოლაც დაამთავრა და ლეიტენანტის ხარისხი მიიღო.

ისიც, როგორც მეთაური, ქებით იხსენიებს გერმანელი ამხანაგების თანამშრომლობას და გვიცხადებს მადლობას დახმარებისა და რჩევისათვის. მას განსაკუთრებით სწყუროდა თავისი ჯგუფის ხელახლა ბრძოლაში წაყვანა...

ზიმდიგი

ზემდეგის ნამდვილ ტიპს წარმოადგენს მოხალისე ბ. ამ საქმისათვის საჭირო მომზადება და უნარი მას განსაკუთრებით ემჩნევა. მისი ნათელი წაბლისფერი თვალები მყისვე შენიშნავენ თვითეულ უმცირეს უწესრიგობასაც კი...

აკაკი ბ. არ არის „კადრის" ჯარისკაცი, როგორც პირველად გსურს იფიქრო. იგი სატყეო ინჟინერია, მაგრამ მას დიდხანს არ დასცალდა თავის დარგში მუშაობა. როგორც ტექნიკური ინჟინერი, მალე წითელ ჯარში გაიწვიეს. იგი ყირიმში მოხვდა ტყვედ, 1942 წლის მაისში.

იმავე წლის დეკემბერში მოხალისე ბ. უკვე გერმანიის მხარეზე იბრძვის ყუბანის ფრონტზე, არცისე შორს საქართველოდან, სადაც მან თავისი ოჯახი დასტოვა. თავისი ახლობლების შესახებ აკაკიმ შესძლო მხოლოდ იმის გაგება, რომ მისი მამა დახვრეტილ იქნა, როცა ის პარიზის ემიგრაციიდან დაბრუნდა...

„ტანკების მსხვრეველი"

უნტეროფიცერი გიორგი გ-ც ქართველია, დასავლეთი საქართველოდან. მას დიდი სურვილი ჰქონდა ცოდნის მიღებისა. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ დაიწყო გეოგრაფიისა და გეოლოგიის შესწავლას, მაგრამ მალე რუსულ ჯარში გაიწვიეს და საშუალება აღუკვეთეს სწავლა გაეგრძელებინა. ფრონტზე ყოფნის დროს გ. კიევთან ახლოს ტყვედ ჩავარდა.

ტყვეობა მხოლოდ ათ დღეს გაგრძელდა. მას არ სურდა უმოქმედოდ ყოფნა, როდესაც სამშობლო დახმარებას საჭიროებდა. სწყუროდა ჩაბმულიყო საქართველოს მოსისხლე მტრების — ბოლშევიკების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში, რომელთაც მისი ტრადიციული ქართული ოჯახი შეარყიეს და თავისუფალი შრომის უფლება წაართვეს.

მაღალი, ჩასხმული უნტეროფიცერი სდგას ჩვენს წინაშე და კმაყოფილებით იღიმება. მის მკერდს ამშვენებს ორდენები და წარჩინების ნიშნები, რომელნიც მოწმობენ, რომ მან ბრძოლებში განსაკუთრებული გამბედაობა გამოიჩინა და ქართველური გმირობის მაგალითები უჩვენა. ქართული ეროვნული ნიშნის — სამფეროვანი დროშის ზემოთ ის ატარებს ტანკებისა და ქვეითი ჯარის საბრძოლო ნიშნებს, აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხთათვის გამოშვებულ ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს სიმამაცის ნიშნებს. ეს ნიშნები გვიჩვენებენ ბრძოლის იმ გზას, რომელიც მან განვლო, როგორც თავისი სამშობლოს ერთგულმა პატრიოტმა. ჩრდილო-კავკასიაში, უკანდახევა აზოვის ზღვისკენ, ხელახლა ჟიტომირის რაიონი, შემდეგ პარიზი, ბრძოლა ტერორისტების წინააღმდეგ — აი, მოკლედ მის მიერ განვლილი გზა გერმანულ ფორმაში.

O

ვაჟკაცები საქართველოდან — თავისუფლებისათვის მებრძოლნი, რომელნიც დამოუკიდებელი საქართველოს დროშას მკლავზე ატარებენ, სამშობლოდან შორს მყოფნი, იბრძვიან სამშობლოსათვის, მისი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის. მათ თავიანთი ბედი გადაჭრით დაუკავშირეს გერმანიის ბედს. თვითეული მათგანი გულში მტკიცედ ატარებს ურყევ რწმენას, რომელიც ქართული ლეგიონის მეთაურმა საუკეთესოდ გამოხატა შემდეგ სიტყვებში: „ერს, რომელიც ასე მჭიდროდ არის შეკავშირებული, როგორც გერმანია, ომის წაგება არ შეუძლია".

ამას გრძნობს, ჰფიქრობს და განიცდის ქართული ლეგიონის ყოველი მოხალისე...

საახალწლო მილოცვები

ქართველ მხედრობას

ქართული ცენტრის ნხ-ის სახელით, გილოცავთ, ძვირფასო ძმებო, ახალი წლის დადგომას. თქვენ სიმამაცითა და თავდადებით მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში, დაიმსახურეთ უდიდესი ნდობა — საკუთარი ხელმძღვანელობა დაგენიშნათ ლეგიონში და სხვა ქართულ სამხედრო ერთეულებში, რაც შადრისად ღირსშესანიშნავ და მოსალოდ საქმის წარმოებას.

წმინდათაწმინდაა თქვენს მიერ გაღებული მსხვერპლი, სამშობლო არასოდეს დაივიწყებს მისდამი გამოჩენილ ერთგულებას. მწამს, რომ გავიმარჯვებთ! მედგრად იდექით თქვენს საგუშაგოზე!

ქართული ცენტრის ნხ-ის მეთაური: შტანდარტენფიურერი ფრიდონ წულუკიძე.

ქართულ საკავშირო შტაბს

[illegible] ბრიგადის ქართველი მოხალისეები გილოცავთ თქვენ, ქართული საკავშირო შტაბის მთელ შემადგენლობას და თქვენი სახით ყველა ქართველ მოხალისეს ახალ წელს და გისურვებთ, რომ 1945 წელი ყოფილიყოს ბოლშევიზმზე გამარჯვებისა და ჩვენი საყვარელი სამშობლოს განთავისუფლების წელი.

ლეიტენანტი მეძი.

მარცხნივ: გაზ. „საქართველოს" კითხვის მომენტი; მარჯვნივ: ქართველ მოხალისეთა ერთი ჯგუფი იტალიაში.

გაზეთი „საქართველოს" საახალწლო საჩუქარი ქართველ მოხალისეებს

ჩვენი გაზეთის რედაქციამ ქართველ მოხალისეებს მიუძღვნა მშვენიერი საახალწლო საჩუქარი — ბ-ნი არჩილ მეტრეველის მიერ შედგენილი კრებული „ქართველი პოეტები". წიგნში თავმოყრილია ყველა ცნობილი ქართველი მგოსნის თვალსაჩინო პოეტური ნაწარმოებნი, დაწყებული ალექსანდრე ჭავჭავაძიდან, დამთავრებული ალექსანდრე აბაშელით. კრებულში მდიდრად არიან წარმოდგენილი ქართული რომანტიზმის ფუძემდებლები — ალექსანდრე ჭავჭავაძე, გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანები, ნიკოლოზ ბარათაშვილი... შემდეგ მოდიან რეალიზმის სკოლის ისეთი ბუმბერაზები, როგორიც იყვნენ: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, რაფიელ ერისთავი და სხვ. წიგნში მოთავსებულია აგრეთვე ახალი ქართული პოეზიის ცნობილი წარმომადგენლების — გრიგოლ რობაქიძის, იოსებ გრიშაშვილის, სანდრო შანშიაშვილისა და ალექსანდრე აბაშელის რჩეული ლექსები. თვითეული ავტორის ნაწარმოებთ წინ უძღვის მოკლე ბიოგრაფიული ცნობები და პოეტის პორტრეტი.

კრებულს წამძღვარებული აქვს პაატა ვარძიელის წინასიტყვაობა და აგრეთვე წიგნის გერმანული რეზიუმე. კრებული შეიცავს 432 გვერდს, გამოცემულია ლამაზად და ჩასმულია მუყაოს გაფორმებულ ყდაში. გამოცემა ეკუთვნის გაზ. „საქართველოს" რედაქციას (ქართველი მოხალისის საველე ბიბლიოთეკა № 4).

საახალწლო მიძღვნა

მოხ. ვ. ურდოელი

ფიქრი რათ გვინდა აწი და მწველი!
გული ტანჯვაში რატომ დნებოდეს?!
იცოცხლეთ ძმებო! შემდეგი წელი
თბილისის თავზე გაგვითენებოდეთ!..

O

დაუტირელი ხერხეულიძე

მოხ. ი. შ-ია

ძღვნად უცხოეთში დაღუპულ ქართველებს

მე წინაპარნი ვაჟკაცნი მყავდნენ —
კაცი ჯაბანი როგორ იქნება!
საქართველოსთვის სიცოცხლე რამდენს
მიუტანია დაუფიქრებლად.

ბევრი ამბავი გამიგონია
ნების კლდეობის, გულის სიცხარის;
ქართველს მხნეობა მუდამ ჰქონია,
მტერი — ყოფილა ავმოსისხარი.

ქართველის მკლავი სად არ ქებულა,
სად არ უსინჯავს ხმალი თავისი?
დრო დამიდგა და მეც ძველებურად
პაპისეული ჯაჭვი ავისხი.

მიზანი წრფელი და შორეული:
ქართლის მიწა და ქართლის თბილი მზე!
ბრალია, შვილი ცრემლმორეული
შორით მოსთქვამდეს დედა-თბილისზე!

სისხლი გვიშველის! და ხმალი ვიძმე
მტრის მოშულარი და გამგმირველი...
და მეათე ძმა ხერხეულიძე
თუ აქ დავეცი დაუტირელი.

თუ არ დამინდობს ბრმა ტყვია რაინდს,
თუ ამ თვალებში ჩადგეს ჩრდილები,
დედავ თბილისო, იცოდე მაინც, —
შენთვის კვდებიან შენი შვილები!

მოკლე ცნობები

* პოლონეთის ამერიკული კომიტეტმა, რომელიც 2 მილიონამდე წევრს ითვლის, გაუგზავნა სახელმწიფო ნოტა საგარეო საქმეთა სამინისტროში. ნოტა ეხება საბჭოთა კავშირის პრეტენზიებს პოლონეთის ტერიტორიის მიმართ. კომიტეტი მოითხოვს, რომ ამერიკამ პროტესტის სახით შეუშალოს ხელი საბჭოთა კავშირის იარაღის გაცემა. დემოკრატი სენატორი ვილსი მიუთხრა კომიტეტის აზრს. იგი ფიქრობს—მხოლოდ ამ გზით შეიძლება იმის მიღწევა, რომ საბჭოთა კავშირმა იცნოს ატლანტიკის ქარტია პატარა ერების დამოუკიდებლობის შესახებ.

* შვედეთის გაზეთები იუწყებიან, რომ სახაზღვრო სადგურებზე ყოველდღიურად ჩამოდის 1.000—1.500 ფინელი, რომელიც საბჭოთა კავშირში აგზავნიან.

* ბერნიდან იტყობინებიან, რომ შვეიცარიის ფედერალურ პრეზიდენტად 1945 წლისათვის ხმის უმრავლესობით არჩეული ფედერალური მრჩეველი ე. ფონ შტაიგერი.

* რომიდან იუწყებიან, რომ მოკავშირეთა ჯარების სარდალი იტალიაში, გენერალი ალექსანდერი ინგლისში გაიწვიეს. იტალიის ფრონტის ხელმძღვანელობა გადაეცა ამერიკელ გენერალ კლარკს, რომელიც ამ დრომდე მეხუთე ამერიკულ არმიას სარდლობდა. ინგლისური არმიების მთავარსარდლობა ეხლა ამერიკელების ჩაუვარდათ ხელში.

* „რეიტერის" სააგენტო ათენიდან იუწყება, რომ ბერძნების შეიარაღებულმა ჯგუფმა ივლისში მიიტანა „მოკავშირეების" (ინგლისელების) შტაბზე დამატყვევებელი ძალის. გარემოცულ შტაბს თვითმფრინავების საშუალებით ამარაგებენ.

* პარიზიდან იტყობინებიან, რომ საბჭოთა სამხედრო მისიამ დატოვა მოსკოვი და პარიზისაკენ გამოემგზავრა. მისიის მიზანია — „საბჭოთა კავშირსა და საფრანგეთს შორის ურთიერთობის განმტკიცება".

* სტოკჰოლმში მიღებული ცნობების თანახმად, უკანასკნელი თვეების განმავლობაში, საბჭოთა კავშირში, ლენინისა და სტალინის თხზულებანი გამოიცა 17 სხვადასხვა უცხო ენაზე. ამ გამოცემათა მიხედვით შეიძლება გავითვალისწინოთ ბოლშევიკების განზრახვათა. მისშტაბი თავისი საბოლოო მიზნის — მსოფლიო რევოლუციის მოწყობის საქმეში.

როგორ შეიძლება ახლობლების მოძებნა?

გერმანიის არმიის უმაღლესი სარდლობის ინიციატივით გასული წლის დასაწყისში ჩამოყალიბდა ოთხი ცენტრალური ცნობათა ბიურო, რომელთა მოვალეობას შეადგენდა დაზარალებულ ოჯახების შესახებ დაწვრილებით წერილების შეგროვება. ამ ხნის განმავლობაში ბიუროებმა უდიდეს წარმატებას მიაღწიეს, მაგრამ პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ საჭიროა ამ მუშაობის უფრო მეტი ცენტრალიზაცია.

ამ მიზნით, აღნიშნული ცენტრალური ცნობათა ბიუროები ამიერიდან ურთიერთის სრულიად ჩამოყალიბებულ აღნიშნულთან ერთი ცენტრალური ცნობათა ბიუროს (Z. F. O.), რომელიც მდებარეობს ლინა ზურგში. მისი საველე ფოსტის ნომერია 11900.

განცხადებები ნათესავების ადგილსამყოფელის მოძებნის შესახებ, გარდა აღნიშნული ნომრისა, დროებით შესაძლებელია გაიგზავნოს აგრეთვე ძველ საველე საფოსტო ნომრების მისამართით:

ცენტრ. ცნობ. ბიურო № 1 — საველე ფოსტა 57800,

ცენტრ. ცნობ. ბიურო № 2 — საველე ფოსტა 11900,

ცენტრ. ცნობათა ბიუროები № 3 და 4 — საველე ფოსტა 19000.

განცხადებებისათვის დაბეჭდილი ფურცლების მიღება შეიძლება: მობილიზებულებს — თავიანთ ნაწილებში, სამხედრო ტყვეებს — ბანაკის უფროსთან და მუშებს — სამსახურის ადგილზე.

პირველი თოვლი ბავარიაში.

პატარა ფელეტონი

ორი „მხედართმთავარი"

გაზეთებიდან შევიტყვეთ, რომ მოსკოვში შემდგარ „მოკავშირეთა" უკანასკნელ თათბირზე, ინგლისის პრემიერ-მინისტრი უინსტონ ჩერჩილი ინგლისური არმიის პოლკოვნიკის მუნდირში გამოცხადდა. სტალინი კი, ასეთი საზეიმო შემთხვევის გამო, მარშლის ტანისამოსში გამოეწყო და მკერდზე ორდენების მთელი გროვა დაიკიდა. ერთმანეთის შეხვედრისას ინგლისური არმიის პოლკოვნიკი და საბჭოთა კავშირის მარშალი!.. მართლაც რომ საგრძნობი განსხვავებაა სამხედრო ხარისხებში! ბოროტი ენები ლაპარაკობენ, რომ ამ განსხვავებამ დიდი როლი ითამაშა თათბირზე და განაპირობა ურთიერთდამოკიდებულება ორ „ბელადს" შორის.

კაცობრიობის ცივილიზაციისა და პროგრესის ამ დიდებულმა მტრების შეხვედრა ჩვენმა, შეიძლება ითქვას, ძალიან მდიდარმა ფანტაზიამ შემდეგნაირად ესახება:

მორიდებით გაიღიმა შევიდა სტალინის ოთახში და მიესალმა მარშალს:

— ამხანაგო სტალინ, თქვენი ნახვა სულ ცოტა ინგლისელ პოლკოვნიკს ახარებს — პრემიერ-მინისტრი ჩერჩილი ვარ, მე როგორც არ მეკადრა, ფიზიკურად პატივს ცემით აქვს, მრავალ საქმეზე მიკრული.

— კიდევ მოგითხრა?! რას იზამ, უნდა შემოუშვა! უთხარი, მოვიდეს.

— ჯენტლმენობის გარეგნობით, თქვენი აღმატებულებავ! — გადიხადა წარმოსთქვა ინგლისური ჯარების უმაღლესმა მთავარსარდალმა.

— გეტყობათ, სამხედრო წესი არ გცოდნიათ, პოლკოვნიკო, — მიუგო საბჭოთა კავშირის მბრძანებელმა, — ჩემთან ყველა უმაღლესი გენერლები მიმართავენ, — „თქვენო აღმატებულებავ", — მე მარშალი ვარ და სხვადასხვა მიმართვა მეკუთვნის. მაგალითად, „თქვენო უდიდებულესობავ", „თქვენო უმაღლესობავ" და სხვ.

— მაპატიეთ, ბატონო მარშალო, — მიუგო უკვე შეშინებულმა ჩერჩილმა და სამხედრო ყაიდაზე მოიხსენა, — მაქვს პატივი მოგახსენოთ, რომ პოლკოვნიკი ჩერჩილი გამოცხადდა თქვენთან, მის უ... უ... უდიდებულესობას მარშალთან, მოსკოვის თათბირზე მონაწილეობის მისაღებად.

— ეს სულ სხვა საქმეა, — უპასუხა ამაყად სტალინი, — მაგრამ უნდა გითხრათ, რომ მე, მეტად უკმაყოფილო ვარ თქვენი, პოლკოვნიკო, და ავიღოთ მისი, რა ჰქვია მას, სამხედრო ხარისხი რომ არა აქვს, ჰო, რუზველტის მოქმედებებით. თქვენც მებრძოლები ჰგავხართ, რაღა! იტალიაში გაიჭედეთ, საფრანგეთში კი ნაბიჯით მიიწევთ წინ, ჰოლანდიასა და ბელგიაში ჩაფლავდით, ეხლა კი გერმანელებმა შეტევა დაიწყეს და თქვენც უკან იხევთ! საერთოდ, უნდა აღინიშნოს, რომ თქვენგან ხეირი არ არის და ომის მთელი სიმძიმე კვლავ მე მაწევს.

— ნება მომეცით მოგახსენოთ, თქვენო უ... უ... უდიდ...

— ჩუმად, ნუ ლაპარაკობთ! გაქვენილდით, პოლკოვნიკო. გამოიცადეთ საბაბი ლოდინი და ზარმაცობით. ძალიან მიგდიათ სხვისი ხელით ნარის გლეჯა. მაგრამ ეს ბოლომდე ჩემთან არ გაგივათ. მე არაფერი გაგიგიათ. როგორც არავის დავუთმობ, არც ბელგიელებს მივცემ ქვეყნებს, ფინეთი ხომ ისტორიულად მე მეკუთვნის. საბერძნეთი და სერბიას შევუერთებ ჩემს სამფლობელოს, თურქეთს კი თვალსაჩინოდ გადავყლაპავ. საფრანგეთსა და ესპანეთსაც არ დავუტოვებ ხეირს. ლუკმა გადამრჩეს, ჯამში ჩავარდება, ხომ გაიგეთ, პოლკოვნიკო!

— მაგრამ თქვენო უ... უ... ...ბავ, ნება მომეცით მოგახსენოთ, რომ მე თანახმა არა ვარ!

— ხმა, კრინტი, თორემ თუ ბევრს ილაპარაკებთ დაიწყებთ და ავიზიარებ ასეთს, მემგავს მე ვიცი, თქვენი ინგლისიც ჩემს მფლობელობაში გადავა. მისი ადგილი ჩემს არ გამოვრიცხავ. ჩემი ბიჭუნასათვის ლონდონის გადაცემა ისეთივე ადვილი საქმეა, როგორც მეგრელისთვის ცეკვა. ეხლა კი ჯობიათ ისეთი, მე დრო არა მაქვს თქვენთან სალაპარაკოდ. მოიკითხეთ ჩემს ნაცვლად ის, რა ჰქვია სულ მავიწყდება, ჰო რუზველტი. ბიზნესმენის უფრო მეგობრულ ადგილზე... [illegible] გამოიგზავნეთ! მე მარშალი ვარ, თქვენ კი მარტო პოლკოვნიკი! ...ცეკვა რომ დამავიწყოს, არა, ეს არ გამოვა!

— მაგრამ მე...

— არავითარი მე... ზურგსაკენ! კიდევ, რაღაც ძველი ბურჟუაზიული ჩვეულებებით... ამ დღეებში ჩემი ბიჭუნა ლონდონში V1 და V2 ცეცხლის გერმანია და სახლში ვერ ჩაიდებს, დიდებულ კაფეებს, კლუბებში, თეატრებში, ვაშინგტონში, ზღვაში, ჩრდილში, ჯანდაბასა და ღონისძიება. ჰო, მოიცადე! გადაეცით ეს არაჩვეულებრივი ამბავი შემდეგში გერმანელებს დაბალი ხარისხით ჩემთან არავინ შემოუშვათ!..

სამხედრო-პოლიტიკური მიმოხილვა

ქვეყანა, რომელშიც არეულობა, ჯგუფთა და პარტიათა ბრძოლა, ტერორისტული გამოხვლები, გაფიცვები და ცხოვრებაში ქაოსი არ იყოს გამეფებული. ტანის მიმცემი ყველა ამ უბედურებისა, არის ბოლშევიზმი, სულერთია შინიდან თუ გარედ, მოსკოვიდან წამოსული. „დემოკრატია" სხვა ამ ძალთა ჭიდილში. იგი დამცრდა. ამერიკას კი ევროპის ანარქია არ აწუხებს, ის მისთვის უცხოა. მისი უმთავრესი საზრუნავია იაპონია, რომელთანაც ბრძოლა 90 დღეში უნდა გადაიტანოს სამხედრო მინისტრი სტიმსონის წარმოდგენით, სინამდვილეში კი უკვე მეოთხე წელია და დასასრული ჯერ არ სჩანს. პირიქით, მიუხედავად იაპონიის დიდ-კუნძულებთან ჩამოდენისა მიახლოვებისა, არ შეიძლება სწორად ამიტომაც, უმთავრესი, გადამწყვეტი ბრძოლები ეხლა იწყება აზიაში როგორც ევროპაში. ევროპა დღეს ვიწრო ომის მოწინააღმდეგე ნაწილად ერთია ძალა წინააღმდეგ, კონტრრევოლუციური, მეორე—დამრღვეველი ადამიანთა ცხოვრების ელემენტარულ კანონებისა. გერმანია გამოდის ამ შემთხვევაში ამ ძალად, რომლის გარშემო დგას იგრძნობ პოზიტიური ელემენტები ბოლშევიკური შემტევი ევროპისა და რაც დარჩა გადის. ყველა სხვა მოაზროვნისათვის ცხადი ხდება, რომ მოსწონს თუ არა, სულერთია, გერმანია, ეს ცენტრი ევროპისა, ის ლოდია — ჯერ კიდევ გადარჩენილი ორგანიზმისა, რომელსაც უშედეგოდ ასკდება ბოლშევიკური, აზიური ტალღები და რომლის დაძლევა, გადარჩენა როგორც თვით გერმანიისა, ისე მთლიანად ევროპისა საბოლოო დაღუპვისაგან. საბერძნეთში და აგრეთვე ბელგიაში მომხდარი ამბები ფრიად გამოცხადებულ ხდება ყველა ამისათვის, ვისაც კიდევ აღუზიანებია ბოლშევიზმის მოფიქრებიების შესახებ. ამიტომ არაა ქვეყანა ევროპაში, სადაც ბოლშევიზმს საწინააღმდეგო აქტიური ძალები არ იყრიდნენ თავს და გადამწყვეტი ბრძოლისათვის არ ემზადებოდნენ. პოლიტიკური შეტევა უკვე დაიწყო. 21 სახელმწიფოს ევროპისათვის ერთ-ერთ ეგზილიშიაში ვენაში, რომელიც მიხდა 12 დეკემბერს, ამის საუკეთესო დემონსტრაციაა. იგი და ჩვენ გვწამს, რომ დრო ამ პროცესს ხელს უწყობს. მაგრამ გამოფხიზლებისა და სხვა ძალების თავმოყრის ამ პროცესში, მთავარია თვით საბჭოთა კავშირის მოსახლეობის აქტივობა. უშედეგოდ არ ჩაივლის გერმანიის იარაღის მიერ ამ ჩანგრი კედლების შენგრევის, რომელიც მოსკოვმა გაავლო ბოლშევიზმის სამეფოსა და ევროპას შორის. მთავარი დამაშინებელი ძალა ბოლშევიზმისა გახდება თვით მისი საკუთარი მოსახლეობის ... გლეხი, მუშა, ინტელიგენტი, წითელარმიელი, თვით პარტიული მასაც კი, განურჩევლად ეროვნებისა, ხალხის ძალისაგან გამოფხიზლებული და აქტივობაში მოსული საბჭოთა ადამიანი, რომელიც არ იცნობდა სხვა ცხოვრებას, გარდა თავისი ჯურ-ცარიელისა და დუხჭირი არსებობისა. მაწანწალების ხმები ურიგდ მოისმის ფრონტის იქითა მხრიდან...

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აქტივობის გამოვლინებაში უდიდეს როლს თამაშობს თვით ის ნაწილი საბჭოთა მოქალაქეთა, რომელიც ბედის ტრიალის გამო ფრონტის აქეთა მხარეს მოექცა. ეს არის მილიონები ადამიანებისა, სიცოცხლით სავსე, ენერგიული, მებრძოლი, ახალი ტექნიკური იარაღის ხმარებაში გამობრძმედილი, ახალგაზრდობისა. მას სწყურია თავისი საკუთარი კერის ნახვა. მას აქ დედ-მამა ჰყავს, ნათესავი ან ნაცნობმეგობარი, რომელიც აუცილებლად დაუკავშირდება მის მოწოდებას აქტივობისაკენ, საერთო მტრის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ, იმის საზიზღლების დაჩქარებით დამთავრებისაკენ. დაუკავშირებს „აქეთა" „აქიდან", ვინაიდან მან იცის, რომ ევროპაში მოხვედრილი მისი სახლი და ხომლი შეცდომაში არ შეუყვანს, რიცა უკეთესი ცხოვრებისაკენ მოუწოდებს. აი, ჯერ კიდევ გამოუცნობი ძალა, რომლის წინაშე ძრწის კრემლის ჯალათი-ები. ეს ისე რომ არ იყოს, მოსკოვს არ დასჭირდებოდა აღნიშნული მილიონების ბიოლოგიურ მოსპობაში, დაუზოგავად გამოცხადდება. ვინ არ იცის, რომ დიდი უმრავლესობა ამ მასისა თავისი სურვილით კი არა არის ფრონტის აქეთა მხარეზე გადმოსული, არამედ პატრიოტის ბრძოლაში დამარცხებული, უმრავლესად ტყვედ არის ჩავარდნილი, სად მოიპოვებს დღევანდელ ზურგზე კაცება, რომელიც თავის ჯარისკაცს, ტყვედ ჩავარდნილს უთანასწორო ბრძოლაში ბარბაროსული ზომით, სიკვდილით დასჯით ემუქრება?! ჰუმანურობით მხოლოდ ბოლშევიკების აგენტები, საერთო გზაზე შეიძლება ასეთი ზიზღი დამარცხებულთა. ამიტომ აღმოფხვრა ამ არაადამიანური ძალისა, განთავისუფლება ადამიანის ღირსებისა, ჩვენი თაობის წმინდა საქმეა წარმოადგენს. ლირს ამისთვის ბრძოლა და თავის გაწირვაც! ამ წმინდა საქმის დასრულება გახდება წელს ახალ წელს დღესასწაულებით.

კლდესავით და სწორეთ მისი უპირატესობა ისიც არის, რომ ზურგი თავისუფალი აქვს, რაც აჭიმდე ნაწარმოებ ბრძოლებში არ ყოფილა. პირიქით, მან მოახერხა გენიალურად მოფიქრებული გეგმით მტრის ზურგში, შემოტევის დაწყებიდან შვიდი თვის განმავლობაში, მრავალი გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი შეუმჩნეველი—დიუნკერკიდან დაწყებული ცნებისამებრ სამხრეთ ფრონტამდე თითქმის 600 კილომეტრის გასწვრივ. გარდა ამისა, გერმანიის უპირატესობა ისაა ურმში და მისი დრომეებ ფრიადებენ არაში შეიზიდულიან ახლოს, რომელიც ამ უკანასკნელს მნიშვნელობას უკარგავს. მას შეუპირობელი აქვს აგრეთვე წიაღისეულში ნავთობისთვის ბაზები, დაცვარული უმაღლესი ბუნკერებით. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ გერმანიის ახალი შერჩეული იარაღები — „V1" და „V2" რაკეტები, სამხრეთ ინგლისსა და ლონდონს გამუდმებით უშენენ. მაშინ ყველა ეს სრულ სურათს მოგვცემს იმის გასათვალისწინებლად, თუ რა უპერვესი მდგომარეობაში აქვთ ზურგი გერმანიის მოწინააღმდეგეებს. სიდიდეც ღირსშესანიშნავი არმიის ფოლადური სამხედრო ხერხებულა და რეზერვები მიიღეთ. აღნიშნული გარემოება ზედიდებ დასაბოლოებად უნდა ჩაითვალოს ახლო გრანდიოზული ოპერაციების წარმატებით ჩატარებისათვის.

ყველა ზემონათქვამი უფლებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ გერმანია იმის გადამწყვეტ ბრძოლების ამ პირველ სტადიის ადვილად გადალახავს და მომდევნო ზამთარში ან გაზაფხულზე სათანადოდ მომზადებული, მრავალი ახალი იარაღით, ხმელეთზე, ჰაერში და ზღვაზე, მოიხდენს საბოლოო დარტყმას მტრის განადგურებულად, სამშობლოდ უზრუნველყოფს გერმანიისა და ღრმუ მისთვის მეზობელს.

16 დეკემბერს დაწყებული მოულოდნელი იერიში გერმანიის არმიებისა ამერიკელების წინააღმდეგ ამ შეტევის პირველი ნიშანია.

○

დღევანდელი სამხედრო მდგომარეობა ხასიათდება უმთავრესად ზემოაღნიშნული მომენტებით. უპირველესყოვლისა, ეხლა უკვე გერმანიის მოწინააღმდეგეებისა საბრძოლო ოპერაციები გადაიტანონ თვით მის ტერიტორიაზე — დასავლეთით, აღმოსავლეთით და სამხრეთით.

სამაგიეროდ, პოლიტიკური მდგომარეობა ხასიათდება გერმანიის პოლიტიკური შეტევის დაწყებით, ბოლშევიკების პოლიტიკური შეტევა კი დასასრულს უახლოვდება. სადაც ისინი შეიჭრნენ, ყველგან თავისი ბარბაროსული ხასიათი აჩვენეს. არაა

გასართობი კუთხე

ვინ ჯობია:

ერთმა მოქალაქემ რესტორანში სადილობის დროს პატარა მარცხი განიცადა:

„კელნერო! — შესძახა მთელი მარილი ჩავცვარე სამარილედან კერძში".

„ნუ სწუხდებით, ბატონო! ეხლავე მოგართმევთ მეორე სამარილეს".

საფრთხობელა

— ნათლიდედა, რატომ არ სდგამთ თქვენს ბოსტანში საფრთხობელას?

— რა საჭიროა, ჩემო კარგო!? მე თვითონ დავდივარ თითქმის მთელ დღეს ბოსტანში!

მამა

ახალგაზრდა დედას სამხედროში ჰყავდა თავისი პატარა დათუნა. დაბრუნებისას მან სიხარულით მიმართა თავის ქმარს:

— იცი, გიორგი, დღეს ჩვენმა დათუნამ გარკვევით წარმოსთქვა თავისი პირველი სიტყვა.

— მართლა? — სიხარულითვე შეეკითხა მამამ.— რა სიტყვა იყო ის?

— ჩვენ ვიყავით სამხედროში, დათუნამ დაინახა გალიაში დიდი შიმპანზე, შემოიჭყრა ტაში და დაიძახა: „მა-მა".

მუქარა

მამა: დაფიქრებულხარ თუ არა ის რათომ, კოცნის წინ?

ქალიშვილი: კი, მამიკო. მან სთქვა, რომ არასოდეს ალარ მაკოცებს, თუ მას გავუბრაზდებოდი და ვიყვირებ...

ეშმაკი ლევარსი

— ლევარსი, რომ იცოდე, რატომ არასოდეს ატყდებ ასე მაგრად კარებზე?

— იმიტომ, რომ ბილეთის მყიდველებმა იფიქრონ, თითქოს მე თეატრში წავედი!

○

საახალწლო გამოცანა

სამი დანი არიან ჩვენი თანამგზავრნი ცხოვრებაში: პირველი — ლამაზია, როგორც გაზაფხული, მაგრამ მატყუარა და ხშირად ბედნიერების ნაცვლად, უბედურება მოაქვს ადამიანისათვის. მეორე — შეუბრალებელი მკაცრია, მაგრამ სამართლიანი ობლების ზეცაში და მკერდზე ჯვარის ატარებს. მესამე — ანგელოზივით გულკეთილია, სუსტებს ეხმარება გზაზე. ტანჯვის უბედურებს ყველას, ავადმყოფებს ჯანმრთელობას მპირდება, ხოლო ლარიბებს — ბედნიერებას. მის გარეშე არავის შეუძლია უბედურების გადატანა.

გამოიცანით, რაზეა აქ ლაპარაკი?

ნარკვევი

ჰარუმ ალ რაშიდის სასახლე

ჩრდილოეთ სირიაში, მდ. ევფრატის მახლობლად, ქ. რაქაში აღმოაჩინეს და ნაწილობრივ გათხარეს კიდეც, ჰარუმ ალ რაშიდის სასახლე. ჰარუმ რაშიდი ცხოვრობდა 786-809 წლებში და ცნობილია, როგორც შეხერეზადის არაბული ზღაპრების „ათასერთი ღამის" ერთ-ერთი მთავარი გმირი.

ვასკო და-გამას საფლავის ქვა

ერთერთ სოფელში ლისაბონის ახლოს, ვენახებში აღმოაჩინეს ცნობილი პორტუგალიელი მეზღვაურის ვასკო და-გამას საფლავის ქვა, რომელიც მთლიანად არის გამოფენებული.

იცით თუ არა თქვენ?

...რა არის ბენზინი?

ბენზინი ეწოდება ნახშირწყლების შენაერთის წარმოებულს, რომლის მიღება მხოლოდ ნახშირისაგან და წყალბადის ატომებისაგან შედგებიან. ბენზინი მიიღება ნავთობისაგან მეტად მარტივი წესით. ნავთობით ღარიბი ქვეყნებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბენზინის ხელოვნურად დამზადებას. სინთეტური ბენზინის მიღების გერმანული მეთოდებმა სრულიად გაანთავისუფლეს სახელმწიფო სხვა ქვეყნების დამოკიდებულებისაგან. ხელოვნური ბენზინი მზადდება ქვანახშირისაგან, რომელშიც შედის აგრეთვე ნახშირბადი, მრავალწლიანი რთული ცდების შედეგად, გერმანელმა მეცნიერებმა შეძლეს ქვანახშირის ნახშირბადის შეერთება წყალბადთან იმ თანაფარდობით, როგორც ეს ბენზინშია. ხელოვნური ბენზინი თავისი თვისებებით არ ჩამოუვარდება ბუნებრივ ბენზინს. სინთეტური ბენზინის მისაღებად საჭიროა მაღალი ტემპერატურა და დიდი წნევა.

ბავარიის მთებში.

მთავარი რედაქტორი
გრ. ჩადუნელი

წერილები უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით:
Georgische Zeitung „Sakarthwelo"
Potsdam, am Minenberg, Baracke 47.

ქართული სტამბა არჩილ მეტრეველისა

b-1279